თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

№2

ქ. ქუთაისი 24 მაისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ზოგიერთი ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №477. 21.05.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს ,,გეომეფი"-მ.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს ,,გეომეფი"-მ წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 8999 (რვაათასცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარზე (დღგ–ს ჩათვლით).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 24 მაისის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს ,,გეომეფი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.

შ.პ.ს ,,გეომეფი"-მ მიიღო 31,7 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრმა - ლევან ჭანჭალეიშვილმა

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ზოგიერთი ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,გეომეფი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი